კაუზაციის, ნებელობის და უნებლიე ქმედებების გამოხატვა

ქართულსა და ინგლისურში

ავტორი მარიამ ორკოდაშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი, ალექსიძის 10.

ელ-ფოსტა: morkoda@yahoo.com

ანოტაცია:

წარმოდგენილი ნაშრომი განიხილავს კაუზაციის, ნებელობის და უნებლიე ქმედების გამოხატვისთვის გამოყენებულ სტრუქტურებს.
ნაშრომი კაუზატივების და ნებელობის / უნებლიობის გამომხატველ ერთეულებს და გამოხატვის საშუალებების შედარებით ანალიზს ახდენს ქართული და ინგლისური ენების მასალაზე, გერმანული ენის ზოგიერთი მაგალითის მოყვანით.

ამ საკითხებს ნაშრომი ლინგვიტური დისტანციის ჭრილში განიხილავს, რაც ფილოგენეტურ-შეპირისპირებითი კვლევის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კაუზაციის გამოხატვა სხვადასხვა ენებში ტემპორალურ თანმიმდევრობასთანაც არის დაკავშირებული. თუ ერთი ქმედება სისტემეტურად წინ უსწრებს მეორე ქმედებას, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ქმედებებს შორის არის კაუზაციური კავშირი (გამონაკლისების გარდა); ხოლო თუ ქმედებების თანმიმდევრობა არასისტემატურია, მაშინ საქმე უფრო კორელაციასთან გვაქვს. ნებელობა და უნებლიე ქმედებები კი ხშირად ლატენტური კაუზაციით შეიძლება გადმოიცეს.

საკვანძო სიტყვები: კაუზაცია, ლატენტობა, ნებელობა, უნებლიე ქმედება, აფიქსაცია, ლინგვისტური დისტანცია.